ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №57-56

2020 წლის 15 მაისი

ქ. თბილისი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 20/03/2019, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.101.016587) და დადგენილების:

ა) პირველი მუხლის „ა" პუნქტით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა (დანართი №1)" ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (თან ერთვის ცვლილების საინფორმაციო მასალა);

ბ) პირველი მუხლის „ა" პუნქტის „ა.თ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა (დანართი №1.8)" ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

გ) პირველი მუხლის ,,ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის" (დანართი N2) 73-ე მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი" ქვეპუნქტი:

„ი) ქალაქ თბილისში, „დელისი-3-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ , ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით ნაკვN1/127, ნაკვN1/124, ნაკვ N1/128, ნაკვ N1/126, ნაკვN1/125, დამუშავებული განაშენიანების რეგულირების გეგმა (რევიზიის მიზნად განისაზღვროს ტერიტორიის რელიეფის თავისებურებების, ბუნებრივი ლანდშაფტისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, განაშენიანების რეგულირების გეგმით შემოთავაზებული სივრცით გეგმარებითი გადაწყვეტების, მოცულობების, ობიექტის სიმაღლეების შესაბამისობაში მოყვანა არსებულ ლანდშაფტთან და ქალაქის სილუეტთან, ამასთან მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილ ფუნქციურ ზონასთან.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე